



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 25 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №211/19-1  
მოსამართლე -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 26 დეკემბრის №211 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>ბ</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-75<sup>გ</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 30 იანვრის №47/211-03 წერილით მოსამართლე -- -- ეცნობა №211 საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 30 იანვრის №48/211-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით განიხილა საქმე, ასევე უკანონოდ მიიღო განსახილველად მოპასუხის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელი.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 23 აგვისტოს, -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- --, -- --, -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2019 წლის 12 სექტემბერს -- -- შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2019 წლის 16 სექტემბერს -- -- შესაგებლით მიმართა სასამართლოს.

2019 წლის 16 სექტემბერს -- -- შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

მოსამართლემ მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა 2019 წლის 26 ნოემბერს. საქმის განხილვა გადაინიშნა სხვა დროისათვის.

2019 წლის 22 ნოემბერს -- -- წარმომადგენელმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომელიც მოსამართლემ მიიღო განსახილველად და განუსაზღვრა ვადა შეგებებული სარჩელის მოპასუხისათვის ჩასაბარებლად.

2019 წლის 2 დეკემბერს -- -- -- -- შეგებებულ სარჩელზე წარადგინა შესაგებელი.

მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამოქალაქო საქმე, 2019 წლის 6 დეკემბრიდან გადაეწერა სხვა მოსამართლეს, რომელმაც შემდგომი მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა 2020 წლის 28 თებერვალს.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის თანახმად, შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით. მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ: შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე უარს ეტყვის მხარეს შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

მოსამართლე -- --, შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2019 წლის 26 დეკემბრის №211 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება, შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღების ნაწილში.
2. -- -- 2019 წლის 26 დეკემბრის №211 საჩივარზე გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ა. ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი